სახელობო განათლება ქართულ მეღვინეობაში

2008 წლის ოქტომბერში კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრში დაიწყო სახელობო განათლების 2-წლიანი პროგრამა სპეციალობით — მეღვინე-მევენახე. ზემოთ აღნიშნული პროგრამის გარდა პროექტი მოიცავს გერმანელი სპეციალისტების დახმარებით ქართველი მეღვინეების გადამზადებას საქართველოსა და გერმანიაში. პროექტს ფინანსურ დახმარებას უწევს გერმანიის ფედერალური მხარის ბადენ-ვურტემბერგის ფონდი და ბატონი ბურკჰარდ შუხმანი. ბატონი ბურკჰარდ შუხმანის პირადი ინვესტიცია აღნიშნულ პროექტში მიზნად ისახავს საქართველოს დახმარებას საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქტით პოზიციონირებისთვის; ამავდროულად, კახეთის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს სთავაზობს დასაქმების პერსპექტივას. პროგრამის იმპლემენტირებას უზრუნველყოფს გერმანიის ჰაილბრონის უნივერსიტეტის ღვინის მენეჯმენტის ფაკულტეტის ხელმძღვანელი, პროექტის დირექტორი, პროფესორი, დოქტორიარმინ გემრიხი; პროექტის კოორდინატორია გოტინგენის უნივერსიტეტის დოქტორანტი სოფი ღვანიძე.

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროში — მეღვინეობაში სახელობო განათლების თანამედროვე სისტემის დანერგვას, ამ დარგისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც შემდგომში წარმოების პროცესების და ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებას განაპირობებს. ამ მიზნის წარმატებით განხორციელება კი ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის უმთავრესი წინაპირობაა.

აღნიშნული დუალური სახელობო განათლების მოდელი ინოვაციაა ქართულ მეღვინეობაში. პროექტით გათვალისწინებულია გერმანული დუალური სახელობო განათლების მოდელის ქართულ რეალობაზე ადაპტირება — სწავლების 1/3 მოიცავს კურსანტების თეორიულ, 2/3 კი — პრაქტიკულ მომზადებას (საწარმოო წვრთნა). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული რეალობისთვის დღემდე უცნობი იყო ცნება საწვრთნელი საწარმო, სადაც კურსანტები პრაქტიკულ განათლებას (ხელობას) ეუფლებიან. კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრის კურსანტები საწარმოო წვრთნას გადიან სს თელიანი ველის და შპს ვინოტერა -ს (მფლობელი „შცჰუცჰმანნ რუპპე“) ღვინის ქარხნებში. აღნიშნული მარნები პროექტის საწვრთნელ საწარმოებად მოიაზრება, რაც ხელს უწყობს მსგავსი პრაქტიკის დანერგვას ქართულ მეღვინეობაში. სახელობო განათლების მოდელი მოიცავს არა მარტო ტექნოლოგიური პროცესების გაცნობა-დაუფლებას, არამედ უწყვეტ ჯაჭვს — ვაზის გაშენებას, ყურძნის გადამუშავებას, ღვინის წარმოებას და მის რეალიზაციას. კურსანტები გაეცნობიან მარკეტინგის საკითხებს, კერძოდ, ღვინის პრეზენტირებას და მყიდველის კონსულტირებას, ასევე, დეგუსტატორის უნარ-ჩვევებს.

იმისათვის, რომ პროგრამა ეფექტანი იყოს და სახელობო განათლების გერმანული მოდელი გასაგები გახდეს როგორც აღსაზრდელებისთვის, ისე პედაგოგების და საწარმოო წვრთნის ხელმღვანელებისთვის, პროექტი მიზნად ისახავს აღნიშნული სახელობო განათლებისთვის პასუხისმგებელი პირების პროფესიულ გადამზადებას. 2008 წლის სექტემბერში გერმანიიდან მოწვეულმა ექსპერტმა კაჭრეთის პროფესიული სწავლების პედაგოგებისთვის ჩაატარა სემინარები (ტრენინგები), სადაც პედაგოგები გაეცნენ გერმანული მეღვინეობა-მევენახეობის სახელობო განათლების მოდელს და მოწვეულ სპეციალისტთან ოტო დოპლერთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე) ერთად შეიმუშავეს სასწავლო პროგრამა. 2009 წლის მარტში კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრის პედაგოგები გაივლიან გადამზადებას გერმანიის ვაინშტრასის, ნოიშტატის, ჰაილბრონის, ბად-დურკჰაიმის და ვაინსბერგის მეღვინეობაზე სპეციალიზირებულ სახელობო განათლების სკოლებში. გერმანიიდან მოწვეული ექსპერტი დოქტორი გეორგ ბინდერი (ვაინშტრასის ნოიშტატის მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის და მეღვინეობის სახელობო განათლების სკოლის ენოლოგიის ხელმძღვანელი) 2009 წლის აპრილში კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრში ჩაატარებს ტრეინინგებს ენოლოგიასა და სენსორიკაში. სემინარები ჩატარდება როგორც კაჭრეთის პედაგოგებისთვის, ისე სახელობო განათლების პროგრამის კურსანტებისთვისაც.

კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრში მეღვინე-მევენახის სპეზიალობაზე თეორიული განათლება მიმდინარეობს პროფესიული გერმანული სახელმძღვანელოებით, რომელსაც ქართულად თარგმნის თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი დოქტორი დავით ჩიჩუა. წარმატებულ კურსდამთავრებულებს, რომლებიც ფლობენ გერმანულ ენას, შეუძლიათ პრაქტიკა გერმანიის ღვინის ქარხნებში გაიარონ.

გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სს თელიანი ველის და შპს ვინოტერას წარმომადგენელთა სემინარები გერმანიაში, სადაც ისინი პრაქტიკულად და თეორიულად გაეცნობიან ვაინსბერგის სახელწიფო ღვინის ქარხნაში საწარმოო წვრთნის პროცესს.

როგორც აღვნიშნეთ, დუალური სახელობო განათლების განხორციელება მიზნად ისახავს ქართული მეღვინეობისთვის პროფესიონალი სპეციალისტების მომზადებას და განათლების ამ მოდელის დანერგვას ქართული პროფესიული განათლების სისტემაში, რაც მომავალში დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. პროგრამის დანერგვის მთავარი იდეა იმაშია, რომ სახელობო პროგრამის (პროექტის) დამთავრების შემდეგ, სახელმწიფოს ინიციატივით და დაფინანსებით, უნდა გაგრძელდეს მეღვინე-მევენახის პროფესიული მომზადება, რადგან დღეისათვის სახელობო განათლების პროგრამის არსებობა უმნიშვნელოვანესია ქართული მეღვინეობის განვითარებისათვის.

პროექტის კოორდინატორი
სოფი ღვანიძე

პროფ. დოქტ. არმინ გემრიხი, კურსანტების ინსტრუქტორი კაჭრეთის პროფესიული სწავლების ცენტრის პედაგოგი გელა მაზანიშვილი, სახელობო პროგრამის კურსანტები

ჩვენი სუფრა სავსე იყო ყვავილებით, ლექსებით და ყურძნით..

როგორ შეხვდნენ „ცისფერყანწელები" ახალ 1922 წელს – ეს იყო, საქართველოს ახსოვს.

გაზეთი „ბარიკადი" – პოეზია, ესთეტიკა, პოლიტიკა, „ცისფერ ყანწების" კვირეული გაზეთი №5 22 იანვარი 1922 წელი. მის: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი №24 ტელ: 7-99

„ცისფერყანწელები" არ იყო მხოლოდ ლიტერატურული მიმდინარეობა, ეს იყო ცხოვრების წესი. ეს იყო განსაკუთრებული ურთიერთობები, რომელთა მომხიბლაობაც მისი წარმომადგენლების განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას უსვამდა ხაზს.

ამბავი, რომელიც 1922 წლის გაზეთ „ბარიკადში" ამოვიკითხეთ, მოგვითხრობს, როგორ შეხვდნენ „ცისფერყანწელები" ახალ წელს 1922-ში და პაოლო იაშვილის 5 ჩანახატს მოიცავს (ჩანახატების სტილი დაცულია).

პირველი

1922 წელს ყანწელებიდან მხოლოდ ათი კაცი იყო ცოცხალი. მხოლოდ ათი ყანწელის გვარი იცის საქართველომ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი.

მეორე

1922 წელს ვხვდებოდით ქართველი პოეტების კვარტალში, რომელიც გავაშენეთ ისე, როგორც შორეულ წარსულში ქართველმა კეთილშობილმა მუშებმა გააშენეს „ნაძალადევი". ეს კვარტალი მდებარეობს (ვსწერ მომავლის ეთნოგრაფებისთვის) მტკვრის მარჯვენა მხარეს და დაშორებულია ნახევარი ვერსით მცხეთის სადგურს. კაფეში, რომელსაც სახელწოდება ჰქონდა „ცისფერი ყანწები", ჩვენი სუფრა იყო სავსე ყვავილებით, ლექსებით და ყურძნით.

იმ წელში გამოიგონეს ფრანგმა მევენახეებმა საშუალება ყურძნის მტევნისგან დათრობისა და ყველა კაფეს სტუმრებს უკვირდათ, რომ ჩვენ ყურძნის მარცვლებისაგან ვთვრებოდით, ისევე, როგორც სტუმრები ღვინით სავსე ყანწებიდან (სხვათა შორის იმ წელს პირველად გამოჩნდა ცისფერი ღვინო, მანამდე კი მხოლოდ წითელი და თეთრი ღვინო არსებობდა).

მესამე

ჩვენ სუფრაზე ვისხედით ათი ყანწელი და ათი ყანწელის უმცროსი შვილები. ცოლები და უფროსი შვილები მარხულობდნენ იმ ღამეს, ლოცულობდნენ ცოდვილ ყანწელების სულის შესანდობრად (ეს იყო, საქართველოს ახსოვს ჩვენი ტრადიცია).

როდესაც სტუმრები გამოითხოვდნენ „ყანწელებს" ლექსის სათქმელად, ჩვენ ნაცვლად ლექსებს ამბობდნენ ჩვენი შვილები. მე მახსოვს, იმ ღამეს ყველაზე კოხტად და გაგიჟებით მამის ლექსი სთქვა ვალერიან გაფრინდაშვილის უმცროსმა ვაჟმა ვალერიან მეორემ. ამის შემდეგ ჩვენი შვილები ამბობდნენ: მამები დაიღალნენ, მათ ლექსები მოეწყინათ. წავიდეთ „გიპერბოლის" ოთახში, დავიჩოქოთ და ვილოცოთ ჩვენი უფროსი დის ალკა რობაქიძის სულის მოსახსენიებლად.

ჩვენ დავრჩით მარტო. ჩვენი შვილები ალკას სულისათვის ლოცულობდნენ და როდესაც მათ მუხლ მოკრეფილი ლოცვა დაამთავრეს მოვიდა ყანწელების უფროსი ქალი ტანიტ ტაბიძე და სთქვა: ყანწელების ოჯახური ლოცვა გათავდა.

ბავშვებო! თქვენი დედებისაგან დავალებული მაქვს, რომ სახლებში დაბრუნდეთ.

ჩვენ მადლობა ვუთხარით ლამაზთვალება ტანიტს და ბავშვები დედებთან გავისტუმრეთ (მეორე დღეს გავიგეთ, რომ ჩვენი ბავშვები სახლში უშიშრად დაბრუნებულიყვნენ).

მეოთხე

რადიო-ტელეგრაფით ვაცნობეთ ოჯახებს: ჩვენ სახლში არ დავბრუნდებით.

მეხუთე

ღამე გავატარეთ აბასთუმნიდან მომავალ ტიკებზე: ტიკები იყვნენ უკანასკნელნი ნაშთი ძველ, ბარბაროსულ საქართველოსი, რომელსაც კიდევ სწამდა ილიას და აკაკის პოეზია.

მეტიკეები იყვნენ უკანასკნელი ჩოხოსნები და ამბობდნენ სამწუხაროა, რომ საქართველოში სონეტი აღარ არსებობსო.

პაოლო იაშვილი: იმ წელში გამოიგონეს ფრანგმა მევენახეებმა საშუალება ყურძნის მტევნისგან დათრობისა და ყველა კაფეს სტუმრებს უკვირდათ, რომ ჩვენ ყურძნის მარცვლებისაგან ვთვრებოდით, ისევე, როგორც სტუმრები ღვინით სავსე ყანწებიდან.

აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა გაზეთში: „ქართული უნივერსიტეტი" №1, 15-21 იანვარი, 2009 წელი
ავტორი: ნინო გედენიძე